სამშობლო

ხუთშაბათი
3 დეკემბერი
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 238 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 238

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

დაიწყო ხელის მოწერა 1916 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

თანამშრომლებენ ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები და ახალი სარედაქციო კოლეგია.

წლიურათ გაზეთი ეღირება 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან.

ვინც ამ თავითვე მომავალ წლის გაზეთს გამოიწერს, პირველ დეკემბრიდან 1 იანვრამდე გაზეთი უფასოთ დაეთმობა.

ქვრივი თეო მეთოდის ასული ჭანტურიძისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 4 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეუღლის

სეილან (იგივე სიმონ) მანუჩარის ძის

ჭანტურიძის

სულის მოსახსენებლათ.

პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე. 1—1—6059

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ორშაბათიდან, 30 ნოემბრიდან, ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა

მხოლოდ მოზრდილთათვის

ეკატერინა ივანეს ასული.

კინო—პიესა 6 ნაწილათ, ლეონიდ ანდრეევისა

უმთავრეს როლებში მონაწილეობენ მოსკოველი გამოჩენილი არტისტები: ნ. გერმანოვისა, მ. ა. დუროლსოვისა, ნ. ნ. ბერსენევი, ს. ნ. ვორონოვი, ნ. ო. მასალიტანოვი, ნ. რ. ნიკოლსკი და სხვები.

პატე-ჟურნალი № 326

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა·

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3.

თ.

საჯარო ვაჭრობა

6 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა, დილის 12 საათ. დ. სამტრედიაშისა სოფლო სამართველოს დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა 1916 წლის პირველ იანვრიდან 1917 წლის პირველ იანვრამდე შემდეგი შემოსავლიანი სტატიები:

1. საიარმარკო ბუტკები. 2. საწვრილმანო საიარმარკო მოედანი. 3. მწვანე ბაზარი და სასწორი (ყაფანი). 4. საყასპო (БОЙНЯ) და 5. პირუტყვების გასაყიდი ქართა.

მსურველთ ვაჭრობის პირობის გაგება შეუძლიათ ყოველ დღე სამტრედიის სასოფლო კანცელარიაში.

სამტრედიის საზოგადოების ვექილი

4—2 პ. პ. გელეიშვილი.

აფთიაქი

ვანის საზოგადოება, ქუთაისის მაზრისა, ამით აცნობებს პატივცემულ მსურველთ, რომ 11 დეკემბერს დანიშნულია სოფელ ვანში

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა ვანის საზოგადოების **აფთიაქი.** ვაჭრობა დაიწყება დილის ათ საათიდან.

მსურველთ ვსთხოვთ დაესწრონ საჯარო ვაჭრობას. იჯარით გაცემის პირობები მსურველს შეუძლია განიხილოს ყოველ დღე, ვაჭრობის დრომდის.

2—2 გამგეობის თავჯდომარე **თ. ჩ. ან. ჩიჯავაძე.**

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ

ჩემი საგალანტერეინო საქონლის ვაჭრობა

(მაღაზია), რომელიც იმყოფებოდა ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოგანეზოვების შენობაში, 20 ნოემბრიდან

გადავიტანე **იმავე ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცხელების შენობაში,** რომელშიც წინეთ ვაჭრობდა გ. გ. ეფრემიძე; იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს ჩემს ახალ სავაჭროში.

14—6—6042 პატივისცემით **ილ. ტარ. მოწონელიძე.**

ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხევგოვის სახლში. (თ.)

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

კბილის ექიმი

მ. მგელაძე—გალიცკისა

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.

მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი

რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო

კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 30 ნოემბერი. ოფიციალური. რუსეთის ასპარეზი. ცვლილება არ მომხდარა. ზოგინის ტბის დასავლეთ რაიონში ჩვენმა რაზმა ზურგიდან მოუარა მოპირდაპირეს და სოფ. ვოინიუნიდან ხიშტებით განდევნა. გერმანელების ნახევარი როტა, ერთი აფიცერი, რამდენიმე ჯარის კაცი და ერთი ტყვიის მტყორცნელი ჩავიგდეთ ხელში.

კავკასიის ასპარეზი. ცვლილება არ მომხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

მოკავშირეთა გადაწყვეტილება.

ათინიდან „ბირჟევ. ვედომოსტ"-ს საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს: „მოკავშირეებმა მტკიცეთ გადაწყვიტეს ბალკანეთის კამპანია სრულ გამარჯვებამდი მიიყვანონო, განაცხადა ოთხთა შეთანხმების ერთ ერთი სახელმწიფოს ელჩმა.—მართალია, ჩვენ განზრახვა გვქონდა დროებით დაგვეტოვებია ბალკანეთის ფრონტი შექმნილ მდგომარეობის გამო, რადგანაც სერბიელებს არ შეეძლოთ რამდენსამე თვის განმავლობაში შეტევითი ოპერაციები ეწარმოებიათ, მაგრამ ახლა ჩვენ მტკიცეთა გვწამს, და ყოველგვარ ზომებს ვიხმართ, რომ ეს ოპერაცია სასურველათ გადაწყდესო. ჩვენ გავგზავნით ბალკანეთში ახალს დიდძალ ჯარს და ახლო მომავალში ჩვენი ფრონტი გადაიქცევა მუდმივ და მასთანვე სერიოზულ მუქარათ ავსტრო-გერმანელების მოძრაობისათვის კონსტანტინეპოლისკენ.

დასასრულ ელჩმა ილაპარაკა სერბიის ჯარის მდგომარეობის შესახებ და სთქვა, რომ ავსტრო—გერმანელებმა სავსებით ვერ შესძლეს სერბიის ჯარის ორგანიზაციის დაშლა. სერბიის ჯარმა, მართალია, დაკარგა დიდძალი არტილერია და სამხედრო სურსათი, მაგრამ მოკავშირენი შესძლებენ ეს დანაკლისი აღადგინონო, ძლიერი იტალიის ფლოტი დღეის შემდეგ საიმედო საფარი იქნება მოკავშირეთა და სერბიის ჯარის შორის დამოკიდებულობისათვის. რაც შეეხება იტალიის დახმარებას, სთქვა ელჩმა, იტალია საექსპედიციო კორპუსს არ გაგზავნის ალბანეთში' მაგრამ, იმოქმედებს რა შეთანხმებულათ მოკავშირეებთან, სერბიის ჯარს მიაწვდის საკმაო სამხედრო სურსათს, რომელიც საჭირო იქნება მათთვის შეტევითი ოპერაციების განახლებისათვის.

საბერძნეთის მომზადება გამოსვლისათვის.

„კორიერე დელა სერა" ტყობილობს ათინიდან სენსაციურ ცნობას, რომელიც საბერძნეთის ცენზურის ხელიდან არაა გამოსული, რომ ვითომც მეფე კონსტანტინე იმ დროს, როდესაც მის მინისტრებს გაცხარებული მოლაპარაკება აქვთ გამართული ოთხთა შეთანხმებასთან, იგი აქტიურ გამოსვლისათვის ემზადება ცენტრალურს ნემეცურ სახელმწიფოთა და ბულგარეთის სასარგებლოთ. თავის მახლობლებთან საუბრის დროს მეფემ განაცხადა, რომ იგი უფრო ადრე დასთმობს ტახტს, ვიდრე მოკავშირეთა ჯარის ყოფნას შეურიგდება სალონიკში.

მიუხედავათ საბერძნეთის სუსტი ფინანსიური მდგომარეობისა, სამხედრო სამზადისი ჩქარის ნაბიჯით სწარმოებს, საბერძნეთის სამხედრო წრეებში გაცხარებული მსჯელობაა იმ ზომების გამოსარკვევათ, თუ როგორ გაუწიონ წინააღმდეგობა მოკავშირეთა ბლოკადას, რომელიც საბერძნეთის სანაპიროებს ემუქრება. საბერძნეთი აშკარათ მიემხრობა ავსტრო-გერმანელებს, რომ მოკავშირეთა ჯარი ზღვაში გადაყაროს. ,,ბ. ვ''

სოც. დემ. ფარული კონფერენცია ბერლინში.

სოც. დემ. ორგანო „ჰამბურგერ ეხო" იტყობინება სოც. დემ. საიდუმლო კონფერენციის შესახებ ბერლინში. კონფერენციაზე დასწრენ რეიხსტაგის სოც. დემ. ფრაქციისა და ცენტრალური კომიტეტის წევრები. ოპოზიციონური უმცირესობა გადაჭრით მოითხოვდა, რომ კანცლერმა რეიხსტაგის ტრიბუნიდან თანხმობა განაცხადოს ზავის პირობებზე მოლაპარაკებისა და ყოველგვარი ანექსიის უარყოფის შესახებ. უმრავლესობამ უმცირესობის წინადადება უარყო და დაასაბუთა, რომ ასეთი განცხადება საიმპერიო კანცლერისათვის, ჩვენი პოზიციის მიხედვით, მოუხერხებელი იქნება და არა სასურველიც მომავალ საზავო პირობის მოლაპარაკებისათვისაო.

სამშვიდობო ლიგა.

ათინაში მყოფმა ჰოლანდიის მისიამ ცირკულიარი მიიღო, რომელთაც ჰოლანდიის ცენტრალური მთავრობა აფრთხილებს მისიის წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიიღონ ზავის შესახებ მოლაპარაკებაში არა თუ ცენტრალური სახელმწიფოების ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად არამედ ავსტრო—გერმანელებთან, რომელთაც არავითარი ოფიციალური მდგომარეობა არ უკავიათ. ამ ცირკულიარს პირდაპირი კავშირი აქვს ბულგარეთში გერმანელ აგენტების ორგანიზაციის აღმოჩენასთან, რომელ ორგანიზაციასაც მიზნათ აქვს ნეიტრალურ სახელმწიფოებში დააარსონ სპეციალური საზოგადოებანი და ლიგები მებრძოლ სახელმწიფოთა შორის საჩქაროთ ზავის ჩამოგდებისათვის. ჰოლანდიის მთავრობამ კონფისკაცია უყო საagitაციო ბროშურებს, რომელიც გამოცემულია გერმანელ აგენტებისაგან და დახურა ყველა სამშვიდობო ლიგა, რომლის დაარსებაც უკვე მოახერხეს გერმანელებმა ჰოლანდიაში.

გაცხარებული ბრძოლა.

ავსტრო-უნგრეთის მთავარი ბინა იტყობინება, რომ მთელს ჩერნაგორიის ფრონტზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებსო. შავ მთიელების ჯარი პლევლეს სამხრეთით იერიშით მიდის ავსტრო-გერმანელების პოზიციებზე. ნოვობაზარის სანჯაყიდან მოიერიშე ავსტრო-უნგრეთის რაზმები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ შავმთიელების პოზიციები ბერანიდან ჩრდილოეთით. შემდეგ მთავარი ბინა აღნიშნავს ბრძოლების სიმწვავეს სუხოდოლთან და იპეკის რაიონში.

ვილჰელმის მოგზაურობა.

სოფიიდან ცნობაა, რომ იმპერატორი ვილჰელმი ამ დღეებში ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრეს ჰერცჰერცოგ კარლ ფრანც იოსებისა და ფელდმარშალ კაკენზენის თანხლებით ბელგრადსა და ნიშს დაათვალიერებს და შემდეგ სოფიას გაემგზავრება, სადაც ინახულებს მეფე ფერდინანდსო. რაც ხეება ვილჰელმის გამგზავრებას კონსტანტინეპოლისკენ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არაა და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობა ახლო მომავალში.

——

ბულგარეთმა ოსმალეთის მთავრობას გადასცა 1,100 გამოქცეული სომეხი, რომელთაც, უეჭველია, დახვრეტა მოელის.

——

კანადაში 150 ქალაქი სამხედრო სურსათს ამზადებს მოკავშირეთათვის. სურსათის ღირებულობა 40 მილიონამდი აღწევს. მომავალი წლის დასასრულს უთუოდ ერთ მილიონამდი მიაღწევს.

——

კონსტანტინოპოლში მივიდა ბულგართა ორი ქვეითა ჯარი და გერმანელების დიდძალი არტილერია ჯარით. აქვე მოვიდა გენერალი მაკენზენი ბერლინის პოლიციის უფროსის თანაშემწით და ბევრი შუცმანი. ფიქრობენ, რომ კონსტანტინოპოლს მალე ვილჰელმიც ესტუმრებაო.

ქუთაისი 3 დეკემბერი.

მოქალაქობრივი შეგნება ერთობ ნელი ნაბიჯითა და მეტად დაკლაკნილი გზით მიდის წინ და, როგორც კედლიდან ანარეკლი ბურთი, საზოგადოებრივი აზრი ხშირად ერთიდან მეორე უკიდურესობაში ჩავარდება ხოლმე.

გადაავლეთ თვალი ისტორიას და მოიგონეთ უმთავრესი ფაქტები. რამდენი დრო იყო საჭირო, ვიდრე მომწიფდებოდა ის აზრი, რომ მონაც კაცია.

რამდენი ცდა და, დრო დასჭირდა განათლებულ კაცობრიობას, რომ განეთავისუფლებია აზრი სასულიერო ცენზორისაგან?!

ვინ დასთვლის, რამდენი მსხვერპლი შეიწირა ამისთვის ბრძოლამ?

საზოგადოებრივი შეგნება რევოლიუციის დროს უფრო ჩქარა იზრდება. მაგრამ მოიგონეთ, როგორ უმძიმდა საფრანგეთის საზოგადოებას დიდი რევოლიუციის დროს ერთხელვე შეთვისებული აზრის გამოცვლა?!

ამასვე მოწმობს მეცხრამეტე საუკუნის სოციალიზმის ევოლიუციის ისტორიაც.

ასეთია კაცის ბუნება: შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი ურჩევნია და ერთობ უჭირს გამოესალმოს ტრადიციას, ძველ რწმენას.

სწორედ ეს არის მიზეზი, ჩვენი სოციალისტები რომ ასე თავგამოდებით ჩასციებიან და იცავენ იმ უტოპიას, რომელიც ევროპის სოციალისტთათვისაც კი საეჭვო შეიქნა, თუმც ევროპის ეკონომიური ურთიერთობის მიერ წარმოშობილია.

დიაღ! სოციალიზმს მიტომ კი არა ყავს ჩვენში ასე თავგამოდებული ჭირისუფლები, რომ ეს მოძღვრება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს შეეფერება, არამედ მიტომ, რომ, ჩვენი სოციალისტების ტრადიციულს, ერთხელვე შესისხლხორცებულ რწმენას წარმოადგენს.

ამიტომ, ამ მოძღვრებამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, რადგან მიზნად ოცნება დაუსახა და რეალურს, სწორ გზას ააცდინა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყანი თუ კრიტიკულ მდგომარეობაშია ყოველი მხრით, ამის ერთერთ მიზეზად—სოციალისტური მოძღვრების ცალმხრივი ქადაგება და გამოყენება უნდა ჩაითვალოს.

ნურავინ იფიქრებს კი, რომ, რაც გარგია სოციალიზმში, ყველაფერს ვიწუნებდეთ. პირიქით, მხოლოდ იმას უარვყოფთ, რაც განუხორციელებელი და შეუძლებელია და რისთვისაც ბრძოლა უნაყოფო და საზიანოა. მაშასადამე, სავსებით აღვიარებთ იმ აზრს, რომ ყოველი მოძღვრება ხალხს უნდა ემსახურებოდეს, სახალხო, დემოკრატიული უნდა იყოს. ამგვარად ჩვენ ვართ არა სოციალისტ-უტოპისტები, არამედ დემოკრატები.

მეორე მხრით, უკვე ოტო-ბაუერმა აღნიშნა, რომ ეროვნულ იდეას ეროვნული დემოკრატია უკეთ ემსახურება, ვიდრე რომელიმე სოციალისტური პარტია. და ეს აზრი ჩვენმა ფედერალისტებმა სავსებით გაამართლეს. ვიდრე საქართველოს ავტონომიის საკითხი უბრალოდ დემოკრატიის ფარგლებს არ [illegible] ქართველი საზოგადოება [illegible] როგორც ეროვნული დროშის დამცველთ. მაგრამ, როდესაც სიტყვის საქმედ გარდაქმნა, ე. ი. საკითხის კონკრეტულად გადაჭრა, შეიქნა საჭირო, მათი მეთოდი, როგორც უტოპიური, არა მეცნიერული, ცალმხრივი,—უვარგისი და საზიანო გამოდგა. და ის არის სავალალო და სამწუხარო, რომ იმ „დასმა", რომელსაც ეროვნული დროშა ჩავაბარეთ, ქვეყანას მოსდევა ჭორი, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები, ზაქათალასი და სოხუმის ოლქის ნაწილები და არტაანი, ოლთისი (ტაო) და ერუშეთი საქართველოს არ ეკუთვნიანო. ხშირად მტერი ვერ გიზამს იმას, რასაც ერთგული მეგობარი!

და ჩვენი ფიქრით, ქართული ეროვნული დროშა ქართველ ეროვნულ დემოკრატიას უნდა ეპყრას ხელში, რადგან მას უფრო შეეფერება.

მაშასადამე, ჩვენ აღვიარებთ ეროვნულ-დემოკრატიულ პრინციპს, ე. ი. ვემსახურებით ერთსა და იმავე დროს ხალხსა და ეროვნებას. **ისარი.**

ეროვნული ერთობა.

ეროვნული ცხოვრების განვითარებას თავისი კანონი, თავისი ლოღიკა აქვს. მთელი თავისი არსებობით, მატერიალურ თუ იდეურ ელემენტებით, ერი ემყარება შესაფერ პოლიტიკურ წყობილებას და, როდესაც ის ამ საფუძველს კარგავს, ეროვნული ცხოვრება სუსტდება, უძლურდება და თუ დაკარგული მან ვერ დაიბრუნა, თან და თან კვდება, ისპობა.

ერთა განვითარების ისტორიის მაგალითები გვასწავლის, რომ ეროვნული სხეული მაშინ ვითარდება ბუნებრივათ, როდესაც ერი თავის უფალი და პატრონია, როდესაც ერს ხელში უპყრია თავისი ბედის საჭე. მაშინ ყოველი ელემენტი ეროვნული ცხოვრებისა ეროვნული ერთეულის საერთო სასიცოცხლო სტიმულს. ექვემდებარება, ემორჩილება ერის პოლიტიკურ განვითარებას თავისი ბუნებრივი კალაპოტი აქვს, ეროვნულ ეკონომიკას თავისი საფუძველი და სამოქმედო ასპარეზი, საზოგადოებას თავისი მორალი ზნე და ჩვეულება და ყოველივე ეს მრავალფეროვნება ეროვნული არსისა უკეთილშობილესი სოციალური გრძნობით მამულის სიყვარულით არის ერთმანეთთან დაკავშირებული და შეთანხმებული.

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუცია.

სოციალიზმი.

(წერილი მეორე)*

I.

სოციალისტური თვალსაზრისით თანამედროვე სოციალ-ეკონომიური წყობილება, კერძო საკუთრების პრინციპზე დაფუძნებული, აუცილებლათ დაუთმობს ადგილს, უმჯობესს, უფრო სამართლიან და სად საზოგადოებრივ ურთიერთობას, სადაც სრული თანხმობა, სოციალური ჰარმონია იქნება გამეფებული. წინანდელ უსწორმასწორო საზოგადოების დიდ უმრავლესობის ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებრივ წესწყობილებას უთუოთ უნდა მოეღოს ბოლო და მის ნაცვლათ დამყარდეს განახლებული ყოველგვარ შუღლისა და ქიშპობას მოკლებული, კაცობრიობა.

სოციალისტური შეხედულებით, მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების ამნაირი პროგნოსი თვით დღევანდელ ეკონომიური ევოლიუციის ტენდენციით არის ნაკარნახევი: თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ვითარება თანდათან იმისთანა მიმართულებას ღებულობს, რომ იგი აუცილებლათ კატასტროფით, თავისი თავის უარყოფით უნდა დასრულდეს. აბა დააკვირდით დღევანდელი, კაპიტალისტური ზრდა-განვითარების მხრივ მაღალ საფეხურზე მდგომ მოწინავე ქვეყნებს, როგორი სისწრაფით მუშავდება იქ ის პირობები, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ეხლანდელ მოუწესრიგებელ სოციალ ეკონომიურ ცხოვრებას და ახალი, სოციალისტურ საფუძველზე აგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა უნდა წარმოშვას.

ყოველ ეჭვ გარეშეა, რომ სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფთა შორის არსებულ მუდმივი ანტაგონიზმისა და შეურიგებელი ბრძოლის დასაწყისი კაცობრიობის მიერ განვლილ მრავალ საუკუნეთა წყვდიადში იმალება. არც ის არის სწორი, თითქო უკმაყოფილოთა და ცხოვრებისაგან განწირულთა რიცხვი დღევანდელ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უფრო მეტი იყოს, ვიდრე წინათ არსებობდა; ან მონობის უღელი ეხლა უფრო მძიმე ტვირთათ აწევს მაშვრალთ, ვიდრე ეს ადრე იყო. არა! წარსულ ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში არა ნაკლები წვა-დაგვა, ტანჯვა-მწუხარება და ვაი-ვაგლახი გამოუვლია კაცობრიობის დაბეჩავებულ ნაწილს. მშრომელ ხალხს; განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ წინანდელ ხანაში უფრო მეტის მოთმინებით და თითქმის უპროტესტოთ იტანდა ეს უკანასკნელი თავის ბრძანებლის მიერ მიყენებულ ჩაგვრა-შევიწროებას და დამცირებას, რადგან არსებული სოციალური წყობილება მაშინდელი შეგნებით ერთადერთ შესაძლო და ბუნებრივ წესწყობილებათ იყო აღიარებული.

კაპიტალისტურმა წარმოებამ შექმნა ნიადაგი სოციალისტურ აზროვნებისათვის; შრომასა და კაპიტალს შორის არსებული წინააღმდეგობა აქ მეტათ ნათელი და ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა. სხვა და სხვა საწარმოვო დაწესებულებებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, თავი მოუყრიათ სამუშაოთ აყარებულ მშრომელ ხალხს, რომელიც კაპიტალისტური ექსპლოატაციის ობიექტათ ხდება.

აქ შრომა, საქონლის წარმოება, საზოგადოა, ხოლო ამ შრომის ნაყოფის მითვისება ინდივიდუალისტური: მუშა ხალხი მთელ თავის ფიზიკურ და სულიერ ძალას საზოგადოებისათვის სხვა და სხვა საჭირო ეკონომიურ თუ კულტურულ ღირებულებათა შექმნას ალევს და მის ნაშრომს კი სხვა ეპატრონება. შეუძლებელია, რომ ერთხელაც არის არ მოეღოს ბოლო ამგვარ უსამართლო, ანორმალურ წეს-წყობილებას; შრომის ნაყოფის მისაკუთრებაც საზოგადოებრივი უნდა გახდეს, ისე, როგორც საზოგადოებრივია მისი წარმოშობის პროცესი. ინდივიდუალისტური წყობილება აუცილებლათ სოციალისტურ წყობილებათ უნდა გარდაიქმნეს, რადგან ამას მოითხოვს დღევანდელი საწარმოვო ძალთა განვითარებით გამოწვეული წესი წარმოებისა; ეს ცვლილება ჩვენი სურვილის წინააღმდეგაც შეიძლება მოხდეს; ამის მომასწავებელია კაპიტალიზმის ერთი მეტათ დამახასიათებელი და თანამდევი მოვლენა,—ეკონომიური კრიზისები,—რომელიც გასაოცარი სისწორით და რეგულიარობით სწარმოებს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში და დაშლას უქადის არსებულ სოციალ ეკონომიურ წყობილებას; მოუწესრიგებელი ეკონომიური ცხოვრება დაუყონებლივ მოწესრიგებას თხოულობს, უამისოთ ყოველ წუთს მოსალოდნელია მისი კატასტროფა, დაშლა-დანგრევა.

ამნაირია, მოკლეთ, მარქსისტული შეხედულება ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოების ვითარებასა და მის აუცილებელ „კრიზის"-ს შესახებ.

მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმის დამხობის საქმისათვის, მართლაც, დიდ იმედებს ამყარებდენ ამ ეკონომიურ კრიზისებს, რომლის პროგრესიული ზრდა და სისტემატიურათ განმეორება, მტკიცეთ განსაზღვრულ დროს განმავლობაში, მათი აზრით, დიდ ხიფათს უმზადებს კაპიტალისტურ წარმოებას.

რამდენათაც გვახსოვს, ენგელსმა ორჯერ იწინასწარმეტყველა ბურჟუაზიული საზოგადოების დანგრევა, როგორც აუცილებელი შემდეგი ამ ეკონომიური მოვლენისა, კრიზისისა, ერთი ეს წინასწარმეტყველება უნდა ასრულებულიყო გასულ საუკუნის მიწურულში; ყველა გულის ძგერითა და კრძალვით მოელოდა ამ საბედისწერო ჟამს, როცა დიდებული ეკონომისტის გამოანგარიშებით უნდა დამდგარიყო ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებისთვის, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და ძველ წესწყობილებას, ვგონებ, არასოდეს არ გამოუჩენია იმხანა ცხოველმყოფელობა და უნარი ხანგრძლივობისა, როგორც ეს გასულ საუკუნის ბოლოში მომხდარ მოვლინებულ დიდ ეკონომიურ ქარიშხალის შემდეგ მოხდა.

დღევანდელ დროს ეკონომიური კრიზისების გათვალისწინება და მათ მიერ გამოწვეულ უხერხულობის და ანარქიის თავიდან აცდენა და წარმოების მოწესრიგება შესაძლო გახდა, ასე რომ ამ მხრივ ბურჟუაზიულ საზოგადოებას არავითარი ხიფათი და შიში არ მოელის; ეკონომიური მეცნიერების წყალობით ყველაფერი მათემატიკური სისწორით არის გამოანგარიშებული, აწონილ-დაწონილი და გათვალისწინებული. რაც წინათ შეუძლებელათ და მოუხერხებლათ მიაჩნდათ ეხლა მოსახერხებელი და შესაძლებელი შეიქნა.

არც კაპიტალიზმის განვითარებით წარმოშობილი შრომის გასაზოგადოებრიობა. წარმოადგენს საკმაო საბუთს თანამედროვე ბურჟუაზიული ცხოვრების დამახასიათებელ თვისების, ამ განსაზოგადოებრივებულ შრომის ნაყოფის, ინდივიდუალისტური მითვისების, კერძო საკუთრების პრინციპის უარსაყოფათ და სოციალისტურ მართვა-გამგეობის დასამყარებლად. დიახ, კაპიტალისტურ წარმოების წესის მეოხებით წარმომდგარ შრომის გასაზოგადოებრივობა სრულიად არ გულისხმობს არსებულ სოციალურ-ეკონომიური სისტემის შეცვლისა და სოციალისტური წყობილების შემოღების აუცილებლობას. გაკვადნიერდები და ვიტყვი, რომ ამას არც გათვითცნობიერებულ მუშების მოთხოვნილება შეადგენს და არც უნდა შეადგენდეს, რადგან, თვით დაწინაურებულ ქვეყნებში, მშრომელი ხალხის დიდი უმეტესობისათვის მეტათ გაუგებარია და გაურკვეველი, სოციალისტურ ინტელიგენციის მიერ შექმნილი მეტათ ბრძნული, გასისათვის ძნელათ შესათვისებელი და მოსანელებელი, ხშირათ კი მიუწდომელიც, სხვა და სხვა თეორიები მომავალ საუკეთესო, იდეალურ საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ. ამიტომაა, რომ დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მუშათა ორგანიზაციები ზურგს აქცევენ სოციალისტურ პარტიებს, რომელთაც სურთ მათი ჩაბმა პოლიტიკურ ბრძოლაში მათ მიერ დასახულ სოციალურ მიზნის განსახორციელებლათ.

გათვითცნობიერებულ მუშათა ეკონომიურ-პროფესიონალური ორგანიზაციები უფრო პრაქტიკულის თვალით უყურებენ თავიანთ სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის საკითხს და ძლიერ ერიდებიან ჩარევას სოციალისტურ პარტიების პოლიტიკურ ავანტიურაში, რადგან ერთობ ძნელი და ავი საქმეა მუშა ხალხისათვის სოციალ-პოლიტიკური ექსპერიმენტების მოხდენა, მით უმეტეს, თუ ეს უკანასკნელნი ვერაფერ სახარბიელო და მიმზიდველ საქმეს წარმოადგენს მის რეალურ და ყოველდღიურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. თუ გნებავთ იცოდეთ, მშრომელი ხალხის ნამდვილ მისწრაფებას და ჭეშმარიტ სულის კვეთებას შეადგენს თავისი თავს ნივთიერათ უზრუნველყოფა, კეთილდღეობის მაქსიმუმის მოპოება და აქიდან გამომდინარე მეცადინეობა და სწრაფვა პირადი ქონების შეძენისა, გამდიდრებისა. ამ მხრით მის ყოველდღიური მოქმედებისა და გარჯის მიზანი არაფრით არ განირჩევა კაპიტალისტის მიზნისაგან; კიდევ მეტი, მუშების უადრეს სურვილს შეადგენს მათ როგორც

---

*იხ. „სამშობლო" №№, 56, 57.

როდესაც ეროვნული ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარეობს, მისთვის არ არის საბედისწერო საზოგადოებრივ ელემენტთა პოლიტიკური თუ სოციალური სხვადასხვაობა, საზოგადოების ნაწილთა შეხლა შემოხლა, მათი ბრძოლა ჰბადებს სიცოცხლეს, ავითარებს და აუმჯობესებს ეროვნულ სინამდვილეს, ჰქმნის უკეთეს მომავალს...

სულ სხვაა, როდესაც ერი პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ამ უმტკიცეს ნიადაგს ეროვნული ცხოვრების საღი განვითარებისა, დაჰკარგავს და თავის ეროვნულ ნების-ყოფას გარეშე ძალას დაუმორჩილებს...

წინეთ, ეროვნული ერთეული თავისი ბატონ პატრონი იყო და მის შემადგენელ ელემენტთა კონფლიქტი, ურთიერთ ბრძოლა, შეხლა შემოხლა, ეროვნულ ცხოვრებას ბუნებრივ კალაპოტს ვერ აშორებდა, არამედ ჰქმნიდა მის სიცოცხლეს და პროგრესს.

ეხლა სულ სხვაა...

ეროვნული ცხოვრება ისედაც გადაცილებულია ბუნებრივ მსვლელობის გზას და საზოგადოების ძალთა დაქსაქვა მხოლოდ ხელს შეუწყობს და განამტკიცებს ერის ასეთს საბედისწერო ვითარებას. თუ ერში საღი აზროვნებაა გამეფებული და ეროვნული სული ძლიერი და მტკიცეა, ერში მალე იბადება ახალი ძალა, ახალი ლტოლვილება და ის იპყრობს ეროვნულ ცხოვრების სფეროებს. საზოგადოებრივი ძალები ერთდება, რომ ეროვნული ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნონ, რომ გადალახონ ის ძალა, რომელიც წინ უდგია და ხელს უშლის ეროვრულ განვითარებას.

ერის ნაწილთა ეს ერთსულოვნობა, შეთანხმება დაკარგულ ეროვნულ უფლებათა დასაბრუნებლათ ბუნებრივი მოვლენაა ყველა იმ ერთა ცხოვრებაში, რომელთაც თავისი ეროვნული პოლიტიკური უფლებები დაკარგავს. ეს ასეც უნდა იყოს. ეროვნული სხეულ უმაღლესი სოციალური ფორმაა, ხალხთა განვითარების და პროგრესის ნაყოფი. ინდივიდუმთა ყოველ მხრივ განვითარებისთვის მაზედ უკეთესი სოციალური კავშირი ისტორიას არ შეუქნია. ამიტომ უნდა იყოს ეროვნული ცხოვრება ძვირფასი საზოგადოების ყველა ნაწილისათვის და, როდესაც ერი თავისი განვითარების საფუძველს კარგავს, ყოველი მამულიშვილი მოვალეა ერთსულოვანი ბრძოლის ინსტიქტით გაიმსჭვალოს და ერს დაკარგული დაუბრუნოს...

იტალიის, პოლონეთის, საბერძნეთის, თუ ბულგარეთ-სერბეთის ეროვნული ბრძოლის მაგალითები მხოლოდ ამას გვასწავლის... როგორი სიმტკიცე, სულიერი ძალა და ხშირათ საბედისწერო თავდავიწყება გამოუჩენიათ იმ ერებს, რომელთაც ეროვნული უფლებები დაუკარგავთ და დაკარგულის დასაბრუნებლათ იბრძვიან...

ეროვნულ ბრძოლას თავისი ბუნება და თავისი მორალი აქვს.

ეროვნულ განვითარებისთვის შესაფერ პირობების მოპოვება ის მიზნათ ისახავს და ყოველგვარი წესი თუ საშუალება ბრძოლასა ამ საერთო მიზნიდან გამომდინარეობს.

№

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ორი დეკემბრიდან ჩვენს გაზეთში უკვე დაიწყო მუშაობა ახალმა სარედაქციო კოლეგიამ.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დ. დ. ო. ნიჟარაძემ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს 4 მაისისათვის 1916 წ. მოიწვიონ თავად-აზნაურთა საზოგადო კრება, რომელზედაც აირჩევენ სხვათა შორის ლეჩხუმის მაზ. თავად. აზნ. წინამძღოლს.

✦ ქუთაისის საპოლიციო საექიმო სამმართველომ წინადადებით მიმართა ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით გაკეთდეს გადამდებ სნეულებათა სპეციალური საავადმყოფო.

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის რწმუნებული ატყობინებს ქუთაისის ქალაქის მოურავს ბ-ნ ი. ნ. ჩიქოვანს, რომ კავკასიის სასანიტარო და საევაკუციო ნაწილის უფროსმა გამოაცხადა პრინციპიალური სურვილი, რომ ქუთაისში გაიხსნას ჯარის კაცთათვის ლაზარეთები. ამიტომ სთხოვენ ქალაქის თავს რომ შესაფერი ბინის შოვნაზე იზრუნოს.

✦ დ. ძველსა და ახალ სენაკში და დ. აბაშაში დაარსდა ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების ბიურო, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ამ რაიონში გადმოხვეწილთა მდგომარეობა.

✦ ქუთაისის ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის სასწავლებელმა ქუთაისს ქალაქის გამგეობას უკვე წარუდგინა 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვა და მოწაფეთა რიცხვი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ქუთ. ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა, რომ ქალაქის მეორე აფთიაქის მოსამსახურეთა შტატი გადიდდეს, ერთი პროვიზორის თანაშემწით და ერთი აფთიაქის მოწაფით.

✦ 12 დეკემბერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება ლიტერატურულ-დრამატიულ-მუსიკალური საღამო. მონაწილეობას მიიღებენ ამავე გიმნაზიის მოწაფეები და შემოსავალი ამავე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გადაიდება.

✦ ქუთაისის ელექტრო ტეატრი „მონპლეზირი“ პირველ დეკემბრიდან გადადის აქციონერ საზოგადოების „ფილმანის“ ხელში ბ-ნი ჩარექოვი კი ანებებს თავს.

✦ ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ფ. ზდანოვიჩი ამ დღეებში გაემგზავრება ქ. პეტროგრადს საბჭოს საქმეების მოსაწესრიგებლათ.

✦ ქალაქის სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ ქალაქის ექიმის ბ-ნ დადუნაშვილის თანდასწრებით ოქმი შეუდგინა „პოლიეზდნის“ ქუჩაზე უსუფთაობის გამო მიხეილ თურქიას და ფრანგების ქუჩაზე კოსტა ცურინოვს.

სოფლად

— ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ს. ზემოხეთის (ოზურგეთის მაზრა.) მცხოვრებთ, რომ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „გაიაფდა იდეალი“.

— ს. თამაკონის (სენაკ. მაზრა.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ ნება დართონ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „სინათლე“.

— 15 ნოემბერს, ს. ჩასავალის (რაჭის მაზრა.) გვწერენ, რომ იქ ამ ბოლო ხანში ძლიერ გახშირდა ქურდობა.

სათეატრო ქრონიკა.

ფოთი. „ქართული დრამის“ გასტროლები: დღეს, ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, ფოთის თეატრ „კომეტაში“ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ერისთავისა „სამშობლო“ უმთავრესი როლები ასეა განაწილებული: „ქეთევანი“ მდივანი, „ფაიხოში“ ანდრონიკაშვილი, „შაჰ-აბასი“ კორიშელი, ლევან ხიმშიაშვილი“ შურუსიძე, „ლიონიძე“ დადიანი, „გოგია დიაკონი“ გვარაძე. ხვალ, პარასკევს, 4 დეკემბერს. იგივე დასი წარმოადგენს ანდრეევის ცნობილ პიესას სტუდენტთა ცხოვრებიდან „დღენი ჩვენი ცხოვრებისა-ს. უმთავრესი როლები დასის საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

აბობენ,—მყვლეფელ კაპიტალისტთა ტახტიდან ჩამოგდება და იმათი ადგილის დაკავება, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ, თუ წინათ საწარმოვო იარაღი, კაპიტალი ერთს კაცს ეკუთვნოდა, ეხლა მუშათა მთელი კორპორაცია ეპატრონება მას და ერთმანეთს შორის ინაწილებენ, პირადი შრომისა და უნარის მიხედვით, პროპორციულათ, საერთო ძალ-ღონით და ჯაფით შექმნილ ქონებას, როგორც ეს დღეს მუშათა საწარმოვო კოოპერატივებში ხდება ხოლმე. მაშასადამე, არც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების წარმოების წესი (ერთათ მუშაობა, მშრომელი ხალხის ერთს საწარმოვო ჭერ ქვეშ ყოფნა) არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას სოციალისტურ წყობილების წარმოსაშობათ.

ჩვენის ღრმა რწმენით, დღევანდელი სოციალ-ეკონომიური ცხოვრება, რომლის დედა-ბოძი კერძო საკუთრება გახლავს, მუდმივ დაუშეუწყვეტელ ცვლილებასა და ვითარების გზაზე იდგომილება, ხოლო თვით ამ ცხოვრების საფუძველი, კერძო საკუთრება, კიდევ დიდ ხანს შეურყეველი და უცვლელი დარჩება; ამის თავდები ხომ თვით კაცობრიობის მიერ განვლილი მრავალსაუკუნიანი ისტორიული ცხოვრების ვითარება არის.

როგორც ვიცით, კაცობრიობის გრძელი და მრავალმხრივი ისტორიული ცხოვრება თან და თანი წინსვლის და გაუმჯობესების განუწყვეტელ პროცესს წარმოადგენს: ძველი პრიმიტიული ცხოვრება იცვლება ანტიურ-პატრიარქულურ წესწყობილებით (მონობის ხანა), რომელიც თავის მხრით ადგილს უთმობს ფეოდალური ხანის საზოგადოებრივ ურთიერთობას, ხოლო აღსანიშნავია, რომ ურყევი ამ დაუღეგარ და ხანგრძლივ ისტორიულ პროცესის განმავლობაში მხოლოდ კერძო საკუთრების პრინციპი თუ რჩება.

ამნაირია სწორეთ ის როლი, რომელიც უთამაშნია კერძო საკუთრებას წარსულ ისტორიულ პროცესში; არა ნაკლებათ მნიშვნელოვანი და უაღრესია მისი როლი დღევანდელ დროს. იგი ადამიანის მოქმედების უმთავრესი და უპირველესი სტიმულია. ყოველ კერძო ინიციატივა-თაოსნობას და შემოქმედებას,—ურომლისოთ წარმოუდგენელია კაცობრიობის ზრდა-განვითარება და წინსვლა, საფუძვლათ კერძო საკუთრება უძევს, ამ მოსაზრების საუცხოვო განმარტება მკითხველს შეუძლია შეხვდეს კლასიკურ ეკონომისტების უკვდავ ნაწერებში, რომელთაც, მიუხედავათ იმისა, რომ რამოდენიმე საუკუნე გვაშორებს ჩვენ მათ, კიდევ არ დაკარგვიათ ცხოველი ძალა და მნიშვნელობა მრავალ თანამედროვე, მეტათ საგულისხმიერო და დიდათ საინტერესო კითხვების ახსნა-განმარტებისათვის.

სოციალისტური შეხედულებით კერძო საკუთრება უნდა ჩაითვალოს წყაროთ თანამედროვე ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში არსებულ ყოველგვარ ბოროტებისა და ანომალიის და ყოველი პატიოსანი და კაცობრიობის კეთილდღეობის მოსურნე ადამიანისათვის სავალდებულო უნდა იყოს მისი უარყოფა და სოციალისტურ პრინციპზე აგებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას საჭიროების აღსარება.

ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო მავნებელი და საზარელი ბოროტება გახლავსთ თავისთავის დაიმედება. ადამიანის უსაზღვრო ფანტაზიის მიერ შექმნილ ნაირნაირ ილიუზიებით, რომელიც მართალია ანუგეშებს და ამშვიდებს სხვა და სხვა მიზეზებით აღშფოთებულ სულს ადამიანისას, მაგრამ ვერაფერს შველის მის რეალურ არსებობის მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს; მართალია, წარმოუდგენელია კაცის ცხოვრება უიდეალოთ, რომლისაკენ მუდამ უნდა ესწრაფოდეს მისი მოუსვენარი და მუდამ დაუკმაყოფილებელი ადამიანური ბუნება, მაგრამ არც ის ვარგა, რომ შორეული და მიუწდომელი ვერ გავარჩიოთ და განვსაზღვროთ ახლობელსა და შესაძლოსაგან.

ჩვენც ვაღიარებთ კაცობრიობის შეუჩერებელ პროგრესიულ წინსვლას მაგრამ მასთან ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ შეუძლებელია ყოვლით სრული და უზადო საზოგადოებრივ ცხოვრების დამყარება ამ ბედკრულ დედა-მიწაზე, ისე, როგორც დაუჯერებელია კერძო პიროვნების ადამიანურ ბუნების გაკეთილოვნება, მასში არსებულ ბოროტ მიდრეკილებათა ძირიან-ბუდიანათ აღმოფხვრა და მარტო სათნოებისა, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის ბუდეთ გარდაქმნა.

ჩვენც გვაქვს დასახული დიადი სოციალური მიზანი, გვსურს საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესოთ მოწყობა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კერძო საკუთრების უარყოფა ვერაფერს სამსახურს გაგვიწევს ამ დიად მიზნის განხორციელების საქმეში. პირიქით, ამნაირი საშუალებით ჩვენ ძირს ვუთხრით და ვასამარებთ იმ ძლიერ ფაქტორს, რომელსაც მოძრაობაში მოყავს ადამიანის მრავალფეროვან და მდიდარ ბუნებაში ჩანერგული პოტენციალური ძალა, უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის მატარებელი. ამიტომ გვგონია, რომ კერძო საკუთრებას ჯერ კიდევ არ მოუჭამია თავის დრო, არ გამხდარა ზედმეტ ბარგათ და არ სურს ჩაბარდეს ისტორიას, რადგან მას კიდევ დიდი მისიის შესრულება და სამსახურის გაწევა შეუძლია კაცობრიობისათვის.

ა. თორაძე.

ქართული პრესა.

„სახალხო ფურცელი“ ეხება საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეულ ერთა დამოკიდებულობის საკითხს. სამწუხაროთ, ის ვერ იჩენს ისეთს პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, როგორც მისი მონათესავე „ზვირთი“. გაზეთი სწერს:

> ყოველი ეროვნული ერთეულის, თუნდაც სულ მცირედის აბსოლუტური ღირებულობის, ხელშეუხებლობის აღიარება. ყოველი ერი და ეროვნება წმინდა და ხელშეუხებელია ისე, როგორც ადამიანის პიროვნება, რომელიც თანამედროვე ევროპიულ კულტურის დედა საფუძველია. ამის აუცილებლობა გარდაუვალის სტიქიურის სიმძლავრით წამოაყენა ჩვენმა დრომ და ამას გვერდს ვერავინ აუხვევს. ამას ცხად ჰყოფს, სხვათა შორის, მებრძოლ სახელმწიფოების განცხადება. ჩვენ იმდენად გულუბრყვილონი არა ვართ, რომ ვიფიქროთ ოდნავადაც, ვითომც ეს ეროვნული საკითხის გადასწყვეტას მოასწავებდეს. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ კაცობრიობის განვითარების პროცესში იმდენად ძლიერია ეროვნული ტალღა, იმდენად ფართოა და ღრმა მიდრეკილება ეროვნული ხელშეუხებლობის დამკვიდრებისადმი, რომ ამას ძალაუნებურად ხედავენ, ხედავენ განსაკუთრებით დღევანდელი მსოფლიო ომის დროს - თვით ინგლისის პრემიერიც, გერმანიის კანცლერიც და რუსეთის მთავრობაც. ეს ფრიად დამახასიათებელი მოვლენაა.

რა ბრმა ნახეთ ინგლისის პრემიერი, რომ ეს ტალღა ანუ „ზვირთი“ ძლივს ძლივობით შეამჩნია. ჩვენ გვგონია, ეროვნული ტალღის სიძლიერე დიდიხანია შეამჩნია ყველა კანცლერმა და პრემიერებმა, ეს სახალხოელ-მეგობარ-ზვირთელების დამსახურებას არ შეადგენს.

რაც შეეხება ეროვნულ ცხოვრების აბობოქრებულ ტალღების დაცხრობას, აქ დიდია მათი დამსახურება. ჯერ ადგილობრივ ჩააქრეს სომეხ-ქართველთა უთანხმოება მით, რომ მათ ნახევარი საქართველო სომხებს ხონჩით მიართვეს. ისინი, რასაკვირველია, ხელმძღვანელობდენ „ეროვნული ერთეულის თუნდაც სულ მცირედის აბსოლუტური ღირებულობით“.

საქართველოს გაფეშქაშებულ ნაწილებს, ალბათ, მარტო სომხებისათვის ქონდა „თუნდაც სულ მცირედი ღირებულობა“.

საჭიროა სომეხთა სურვილების დაკმაყოფილება. ისე რა ჩააქრობს ჩვენ შორის ეროვნულ შუღლს და უთანხმოებას და სომხების მიერ ამ ფეშქაშის შემდეგ ნებადართული საქართველოს ავტონომია ქიათურა-პერევისის მთებშიც რომ დარჩეს შეკუჭული, რა უშავს....

„ზვირთის“ ასე პატარა საკითხზე ვერ შეაჩერებთ, მან უკვე გადალახა მთელი ევროპის სახელმწიფოები, იქ ფედერალისტები ჩაასახლა, (ამ საშინელმა ომმაც ვერ შეაჩერა). დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ართმევს დამოუკიდებლობას, ჰქმნის „გამოთავთავებულ“ კავშირს და ამით ერთიანათ სპობს სახელმწიფოთა მტრობას და შუღლს. ასე რომ, მალე გერმანეთი, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და სხ. დამოუკიდებლობას დაკარგვენ და თავს ამოყოფენ „ზვირთის“ მიერ „გამოთავთავებულ“ სახელმწიფოში....

სასულიერო მართვა-გამგეობა ჩვენში.

II.

ყოველი ერის კულტურული განვითარების სიგრძე-სიგანე განიზომება მისი გონების სალაროს ავლა-დიდებით. ამ სალაროს გამდიდრებას ქართველი ხალხი ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში შეუდგა ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. კიდევ იმ დროს, როცა ეხლა თავისი მაღალი კულტურით გალვიზინებული ევროპა ველურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროიდან ქართველნი მწიგნობრობას ეწეოდენ და მისი საშუალებით ქართლოსის შთამომავალნი თავისი გულის ნადებს ერთმანეთს უზიარებდენ.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხომ უფრო გააჩაღა მწიგნობრობა და მის არსებობას უფრო მტკიცე საფუძველი დაუდო. ქრისტეს სარწმუნოების განმტკიცებამ თან გამოიწვია წირვა-ლოცვის გაჩაღება. წირვა-ლოცვა პირველ ხანებში ხალხისთვის გაუგებარ ენაზე სწარმოებდა. ამ ნაკლის შევსებას ჩვენი ხალხი იმ თავიდანვე შეუდგა.

რადგანაც ქრისტეს სარწმუნოების პირველ გამავრცელებლად ბიზანტიის იმპერია შეიქნა და თითქმის მთელი მისი ლიტერატურა ბერძნულ ენაზე წარმოიშვა, საქართველოც ბიზანტიას დაუახლოვდა. ქართველი ახალგაზრდობა ხარბათ ეწაფა ბიზანტიურ განათლებას და ღვთისმეტყველებასთან ერთად შეითვისა მისი ფილოსოფიაც, რომელიც ამ დროს განვითარების უაღრეს საფეხურამდის იყო მისული და რომელმაც განსახიერება მიიღო ქრისტეს სარწმუნოებაში.

ღვთისმეტყველება და ფილოსოფია ორი სხვა და სხვა მხარეა ერთისა და იმავე საგნისა, ორივე სხვა და სხვა გზით მიდიან ერთისა და იმავე ჭეშმარიტებისაკენ. ერთის მატარებელი იყო ებრაელთა ერი, მეორისა—ბერძენთა ერი. დაბოლოს ორივე ესენი ერთმანეთს შეხვდენ და თავი მოიყარეს ერთს ღვთაებაში, მის განსახიერებაში. ღვთისმეტყველობამ და ფილოსოფიურმა ასეთმა მუშაობამ ჩვენშიდაც იჩინა თავი და წარმოშვა გენიოსნი მწიგნობარნი, რომელნიც შეადგენენ ხელთუქმნელ გვირგვინს დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანათა კულტურულ ძლევა-მოსილებისას. გარდა ნათარგმნებისა მათ ბევრი ორიგინალური სღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ნაწარმოები შესძინეს ქართველ ერს. მათ ნაწარმოებს განცვიფრებაში მოჰყავს მკვლევარი ჩვენის მწიგნობრობისა, მიუხედავათ იმისა ნათარგმნია ის, თუ ორიგინალური.

ენით აუწერელ ამ სიმდიდრის უმცირესმა ნაწილმა-ღა მოაღწია ჩვენამდის პერგამენტების სახით, რომელნიც დღეს მტვერისა, ჩრდილისა და თაგვების სახრავათ გამხდარან და პატრონი არ არის, რომ ესენი მაინც გადაარჩინოს მოსპობას, განადგურებას.

სხვა რომ არ ვახსენოთ, საკმარისია დავასახელოთ, თუნდაც, გელათის მონასტრის ხელთნაწერი გულვანი, რომელსაც ორი კაცი ვერ დასძრავს ადგილიდან და რომელშიდაც მოთავსებულია მთელი წლის, 366 დღის, ყოველ დღე საკითხავ-საგალობელნი. სხვა წვრილ წიგნებს ხომ ინგარიში არ აქვს. ასე, რომ თუმცა მაშინ არც ქაღალდი იყო და არც სტამბა, რომელნიც დღეს თავზე საყრელათ არის, მაგრამ საჭირო წიგნების ნაკლებულობას არც ეკლესია განიცდიდა და არც მისი მსახურნი.

დღეს კი, რაცა ბეჭდვითი ხელობა ასე რიგით გაიოლდა და სტამბა გაიაფდა, სწორეთ ამ იაფობის დროს დაუდგა გვალვა ჩვენ სასულიერო მწიგნობრობას და სხვას რო თავი დავანებოთ, ყოველდღიურ სახმარი ჟამნ-დავითნ-ლოცვან-კურთხევანიც კი არ მოგვეპოვება. უმათოთ კი ვერც ერთ ღვდელმოქმედობას ვერც ერთ ღვთისმსახურებას ვერ შეასრულებთ და, თუ საქმე ასე წავიდა, შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ეკლესია და მისი სამღვდელოება სრულებით უწიგნოთ დარჩებიან.

ერთის სიტყვით ჩვენი სამღვდელოება დღეს დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მაგრამ გამგონე არავინ არის. არ იქნა და არა, ჩვენი სამღვდელოება ამ წიგნების ბეჭდვისა და გამოცემისა ნებართვას ვერ ეღირსა და ვერა!

ჯერ მე რომ მახსოვს ეს 25 წელიწადზე მეტია, რაც ჩვენი სამღვდელოება ყოველწლივ თავის კრებებზე ადგენს ჟურნალს ჟურნალზე ამის შესახებ, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსა. კი, მართალია, ეს რამდენიმე წელიწადია კურთხევანის ბეჭდვას შეუდგა ჩვენი მთავრობა, მაგრამ მის დასრულებას, ვგონებ, ჩვენ კი არა, ჩვენი შვილებიც ვერ მოესწრონ, მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. ან კი ბოლო როგორ ექნება, როცა წიგნი **მოსკოვში** (თითქოს აქ, ჩვენში არ შეიძლებოდეს მისი ბეჭდვა!!) იბეჭდება და კორექტურას კი **თბილისში ასწორებენ** და ისიც მთელი კომისია. როდის მოსკოვში ფორმა აიწყობა, როდის გამოიგზავნება, როდის თბილისს მოვა, როდის კომისია თავს მოიყრის, გაასწორებს, გააგზავნის, ამასობაში გადის წლები და წიგნი არსად სჩანს. ჩვენი სამღვდელოება კი გულ-ხელ დაკრეფილი მანანასავით შესჭყურებს მას. მეტი რა ჩარაა?! წიგნის კი არა უბრალო მეტრიკული ბლანკების ბეჭდვაც კი არ შეიძლება მოსკოვის აქეთ.

აი ამას ეძახიან დღეს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას.

დე—ზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციის ცხოვრება.

ხარაგოულის რაიონი.

კარგა ხანია სოფელში არ გამივლია; ნეტავ არც ეხლა გამევლო! სოფელი მკვდარია, დადუმებულია, გლოვის ზეწარი აქვს გადაფარებული.

მივდივარ გზაზე; მწარე ფიქრებმა გამიტაცეს.

— ზევით, ხარო, ზევით შესამღლე, მომესმა უკანიდან ხმა. მოვიხედე, ურემზე პატარა ბიჭი იჯდა და ხარებს უჯავრდებოდა.

— სიდაური ხარ, ბავშო, შევეკითხე პატარას.

— კიცხიდან ვარ, მიპასუხა ბავშმა ამაყათ და თანაც ხარებს შემოუძახა.

— ჩუმათ რომ ზიხარ ურემზე და არ იმღერი, ხარებსაც დასძინებიათ, დაუზრიყვებიხარ, უნდა იმღერო, ბიჭო, სიმღერა ხომ იცი?—ვუთხარი ბავშს და თანაც მივუახლოვდი და თვალებში ჩავაჩერდი, თუ არ მიპასუხებდი მინდოდა მისივე სახეზე წამეკითხა პასუხი.

ბავშვმა იწყინა ჩემი სიტყვები და ოხვრით მიპასუხა:

— სასიმღერო რა მაქვს, მგლოვიარეთ ვარ; ჩემი უმფროსი ძმა გერმანიამ მომიკლა; ვანოც მიყავთ, მამა ავად არის.

შემეცოდა ბავში, საშინელ ომს ამ პატარა, უმანკო, უცოდვილო ადამიანისათვისაც დაუსვამს თავისი მწარე ბეჭედი; მე მაინც ჩემსას არ ვიშლი და ბავშს კიდევ გამოველაპარაკე:

— მე ვიცი თქვენ სოფელში სკოლა არის, რატომ არ სწავლობ?

— მეორე „ოდელენიაში“ ვიყავი მომივლო ბავშვმა, წრეულს დავანებე თავი, მამამ გამომიყვანა, „რუსკოე სლოვოსა“ და რვეულის ფული ვერ მიშოვნეს, „უჩიტელიც“ მიჯავრდებოდა.

შემეცოდა ბავშვი, ძალზე შემეცოდა, მწარე ფიქრები გამიორკეცდა და იქვე ჯამოვჯექი ქვაზე, პატარა კი ხარებს გაუჯავრდა და უფრო ჩქარა გაუდგა გზას.

თავი ძირს დავღუნე და ვფიქრობდი ამ პატარა ბავშზე, მისი სიტყვები ყურიდან არ მშორდებოდა. ვინ იცის, რამდენი ამისთანა პატარა ბიჭი ჩამოსცილდა წელს სკოლას, რამდენი ასეთი ბიჭუნიკები დაობლდენ, ვერ იშოვნეს სასწავლო ნივთები...

— გამარჯობა შენი! მომესმა ხმა.

— გაგიმარჯოს! ვუპასუხე და თავი მაღლა ავიღე დავინახე ჩემ წინ ჩამოფლეთილი გლეხი ზურგზე სავსე ტომარა ეკიდა, ოფლი, წურწურით ჩამოსდიოდა.

— მოდი მეც დავისვენე, სთქვა გლეხმა, და ჩემს ახლოს ჩამოჯდა

— გეტყობათ, ბატონო, კარში გასული კაცი ბრძანდებით, რა ისმის ამ ომის ამბავი; ამბობენ, გერმანია ურიგდება, მაგრამ ჩვენი ხელმწიფე არ შვრებაო.

— მართალია, არის ხმები შერიგების შესახებ, მაგრამ ჯერ შერიგების იმედი არ არის მეთქი, ვუპასუხე მე.

— ეხ,—ამოიოხრა გლეხმა, ჩვენ კი გავწყდით და აწი როგორც უნდა ისე ქნან... ჩემი უმფროსი ბიჭი ,,პლენათ“ გაიყვანა გერმანიამ, უნცროსი მომიკლეს, გლეხს თვალებზე ცრემლები მოადგა.

— რა გაეწყობა, მარტო შენ თავზე არ არის, ვითომ ვანუგეშე თვალ-ცრემლიანი გლეხი.

— მართალია, მარტო ჩემს თავზე არ არის ეს უბედურობა, მაგრამ ყველა ჩემსავით სწუხს, აი მიბრძანდით ჩვენს სოფელში და გაიგებთ რა რიგ გამოცვლილია, ყველა გლოვობს, ყველა სტირის, რამდენი ხანი სიმღერა არ გამიგონია, ბღარებიც რომ აღარ იმღერიან, ეს მიკვირს, ეხ, წავალ, თორემ დამაგვიანდება, სთქვა ჩემმა მესაუბრემ და წამოდგომა დააპირა.

— ტომრით რა მიგაქვს, შევეკითხე მე.

— ლობიო გახლავს, მინდა გავყიდო და სამაგიეროთ სიმინდი ვიყიდო; თქმა მრცხვენია, ამ დროს სიმიდი არასოდეს არ მიყიდია; წრეულს ყოველნაირათ განგვირისხდა ღმერთი, ყანები მოგვიცდა, ზოგს ,,ძაღლის სარჩოც არ მოსვლია“ გლეხმა ჯოხი მოიმარჯვა და წასვლის დროს კიდევ მკითხა: ხომ არ იცით, როგორ ფასობს ლობიო?

— არ ვიცი, მაგრამ ყველაფერი ძვირია. ლობიოთ, ლობიოც ძვირი იქნება მეთქი, უპასუხე.

გლეხი თავის გზას გაუდგა თავისი დაგლეჯილი ქალამნებით. მეც გავეშურე შინისაკენ; მიუახლოვდი ჩვენი სოფლის დუქანს! დუქნიდან ხმაურობა ისმოდა ვაჭრობდნენ; მეც შევუხვიე დუქანში დასასვენებლათ, თანაც წვიმდა; შევედი დუქანში, მივესალმე ვაჭარ-მუშტრებს., ვაჭარმა მარცხენა ხელით სკამი მომაწოდა, მარჯვენა ხელში კი ყველით სავსე კალათა ეჭირა.

— თუ რამე გინდა ჩემს დუქანში იყიდო, ყველს ოყას 60 კ. ავიღებ, ნაღდ ფულს კი 50 კ. მეტს ვერ მოგცემ, ევაჭრებოდა ჩასუქებული ვაჭარი იქვე მდგომ გლეხს.

— ეს ,,ბამბაზია“ უწინ აბაზი ღირდა, ასე მალე ცხრაშაური როგორ გახდა, მომესმა იქვე ახლო მდგომი ქალის ხმა, რომელიც ნოქარს ევაჭრებოდა.

— გამოიღეთ ბამბა ყურიდან, გამოიღეთ, ყველაფერი ერთი ორათ ღირს, გერმანია აღარ აგზავნის საქონელს, ჩაერია ლაპარაკში მედუქნე.

მაგათი ყველაფერი გაძვირდა, ჩვენსას კი რაცა გვაქვს, იმასაც არა სდევს ფასი მომართა ჩემს გვერდში მჯდომმა დარბაისელმა აზნაურმა ერთი საათია ამ საწყალ კაცს ევაჭრება ყველში ორი შაურის გულისათვის.

— ათ შაურათ თუ მომცემ ყველს მე ვიყიდი, ჩაულაპარაკა ყველის გამყიდველს იქვე მდგომმა შავებში გახვეულმა კაცმა.

— შენ რათ გინდა ყველი, მარხვას ჭამ თუ? შეეკითხა სახე მომღიმარი ვაჭარი.

— მარხვა კი არა, შობა—ახალწელიწადს შუა ჩემს უბედურ ბიჭს წლის თავი მინდა გადავხადო.

— პატიეთფ ვისმეს, სამსონ, შეეკითხა დამგლოვიარებულ გლეხს ჩემს გვერდში მჯდომი აზნაური.

— აბა, რა ვქნა ახლობლები მაინც უნდა მოვიპატიჟო, სირცხვილია.

— სირცხვილი არაფერიც არ არის, ჩაერია მეც ლაპარაკში, ხომ ხედავთ როგორ გლახა წელიწადი გქონიათ, ზედმეტ, გამოუსადეგარ ხარჯებს თავი უნდა დაანებოთ.

— თავი როგორ დავანებო, ბატონო, შვილი სად მომიკლეს, არ ვიცი, მეტი რაღა ერგება იმას თავის ოჯახიდან—და თან თვალებიდან მომდგარ ცრემლები ჩოხის კალთით მოიწმინდა.

— არა, ჩემო სამსონ, მართალს ბრძანებს, ნურავისაც ნუ მოიპატიჟებ, დაუძახე მღვდელს და პანაშვიდი გადაახდევინე, საკმარისია, ჩაერია ლაპარაკში იგივე აზნაური. მგლოვიარე გლეხის სახემ უკმაყოფილება გამოიხატა და თან ყველის გამყიდველს ფულს უთვლიდა.

— არა, ბატონო, ნათქვამი რომ არის „რაც მოხდება—სოფელს გადახდებაო“. მართალია, დაარღვია სიჩუმე ჩემს გვერდში მდგომმა. ყველაფერის სიძვირეა, ვაჭრებირას აგებენ, ისევ ჩვენ გვაწევს კისერზე, ეს ჩვენი კოტია, მიათითა ხელი მედუქნეს, ძვირათ იყიდის საქონელს, ისევ ჩვენი ზურგიდან აიღებს, მაგ რას აგებს, რა ენაღვლება.

— ეგ, მართალია, უპასუხე მე, მაგრამ სოფელშიდაც ხომ ყველაფერი გაძვირდა: ყველი, კვერცხი...

— რას ბრძანებთ, ყველით და კვერცხით რას გავხდებით, გამაწყვეტინა სიტყვა იქვე მდგომმა მეორე გლეხმა, რომელიც ამდენხანს ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს, ან ვის აქვს გასაყიდელი, ჩვენი საშუალება ღვინო იყო, ღვინოში ვღებულობდით ორიოდე მანეთს და იმით ვცხოვრობდით, წელს კი ისე დევიღუპეთ, რომ ზოგს საზედაშეც არ მოსვლია, ვისაც მოუვიდა თითო ოროლა საპანე, არც ის ვარგა, პირში არ გამოივლებ-მეც დავეთანხმე დარცხვენით.

— „ზაპასნოის“ ცოლ-შვილს ხომ აძლევენ მაინც ცოტა დახმარებას, შევეკითხე იქ მდგომს.

— რას ბრძანებთ, ბატონო, ჩაერია ეხლა ლაპარაკში „ბამბაზიის“ მოვაჭრე ქალი, ჩემი ქმარი, შარშან კვირიკობისთვეს აქეთ, დეიქცა ის თვე, „ვაენში“ მე კაპიკიც არ მიმიღია, შარშანდელი სიმინდის დარიგებისა არ იყოს მამასახლისი და მწერალი, ვინც მოეპრიანებათ, იმას მისცემენ.

— დუქანში საუბარმა გული უფრო უიმედობით ამივსო, გავეშურე სახლისკენ; მივედი სახლში, აქაც ხომ მამა ჩემმა თავისი წუწუნით გული გამიწყალა; მამაჩემი კარგი მუშა კაცია, ყოველ წლივ ორმოც საპალნე ღვინოს ყიდდა, წელს ჩვიდმეტი ჩაფი მომივიდაო,—მითხრა.

გლოვა-ტირილი, მოუსავლობა, სიმშილი, სიძვირე, საშინელი სიღატაკე, ათასნაირი გადასახადები, აი საერთო სურათი დღევანდელი სოფლისა. ძალიან მხატვრული ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოვებული დამწერი, რომ სავსებით დახატოს, დაასურათოს დღევანდელი სოფლის მდგომარეობა.

საჭიროა ეხლავე დახმარება, შველა, ყოველივე ზომების მიღება, სიმშილი თავის ბასრი ცელით თავს დასტრიალებს სოფელს...

საჭიროა მთელი ჩვენი ძალების ამოძრავება... სოფლის ინტელიგენცია სათავეში უნდა ჩაუდგეს ხალხს, ხელი უნდა აალებინოს ხალხს მავნე ტრადიციებზე (ტირილი ქორწილი, ქელეხობა და სხვა ხარჯები) წვრილი კრედიტის ამხანაგობებმა უნდა აუდოს ლაგამი სოფლის თავგასულ ჩარჩ ვაჭრებს... დაუყოვნებლივ საჭიროა დახმარება.

გრ. საქარიქედელი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 29 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა: ბელგიაში ჩვენმა არტილერიამ გააჩუმა გერმანელების არტილერია. ინგლისის დატვირთული გემი დღეს დილით ბელგიის ნაპირთან გამოჩნდა, გერმანელების რამდენიმე ჰიდროპლანი შეეცადა ყუმბარებით მის ჩაძირვას, მაგრამ მოკავშირეთა რამდენიმე ჰაეროპლანმა, მათ შორის ერთმა საფრანგეთისამ, იერიში მიიტანეს და განდევნეს მოპირდაპირენი. იმავე დროს მოსულმა ფრანგების ნაღმოსანმა დატვირთული გემი კლდეებს მოაშორა და გაანთავისუფლა. ვოკეზებში დროგამოშვებით არტილერიის სროლაა. ქარბუქი მოქმედებას აფერხებს.

ჰავრი. 29 ნოემბერი. ბელგიელების ცნობა. ბელგიის ჯარის ბრძოლის პირით მკაცრი საარტილერიო სროლაა. მარჯვედ უპასუხებთ გერმანელების არტილერიას ლიუგენთან, გავფანტეთ დიქსმიუნდის ჩრდილოეთით გერმანელების მუშები და ყუმბარები ვესროლეთ დენტუანთან გერმანელების მოწინავე სადარაჯოს.

პარიზი. 30 ნოემბერი. ცნობა დილით. ოფიციალური. შამპანში მენილის მაღლობის სამხრეთით გერმანელებმა ნაღმი აფეთქეს ჩვენს ერთ თხრილის წინ. ნაღმით ამოთხრილი ადგილი ჩვენ დავიჭირეთ. ბრძოლის პირის დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

ბალკანეთის ასპარეზი.

ათინა. 29 ნოემბერი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან: ინგლისის წყალქვეშა ნავმა მარმარილოს ზღვაში, პრინცის კუნძულებთან ჩასძირა ოსმალეთის ნაღმოსანი.

იუწყებიან აგრეთვე რომ ზღვაში გასულ „გებენ“-ს წყალქვეშა ნავი დაეცა და დააზიანა.

კოპენჰაგენი. 29 ნოემბერი. ვენიდან იუწყებიან, ვაშინგტონის მთავრობამ მოითხოვა ნიუიორკიდან ავსტრია-უნგრეთის გენერალურ კონსულის გაყვანა.

პარიზი. 29 ნოემბერი. ერთი და იგივე ინსტრუქციები გრეის და ბრიანის მიერ ხელმოწერილი გაეგზავნათ ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებს ათინში. შეთანხმებული ბრძანებები ჟოფრისა და კიტჩინერისა გაეგზავნათ ინგლისის და ფრანგების ჯარების უფროსებს ახლო აზიაში. ინგლისიდა საფრანგეთი ერთსულოვნად მოქმედობენ. ამ შეერთებამ უკვე ნაყოფი გამოიღო ათინაში. მეფე კონსტანტინე დასთანხმდა ჯარის გამოყვანას სოლუნიდან, გარდა ერთი დივიზიისა. რათა ინგლის-საფრანგეთს თავისუფლად შეეძლოთ რკინის გზებით სარგებლობა, მათ სრულს განკარგულებაში გადაეცემათ რკინის გზის ლიანდაგები და მათვე მიენიჭებათ რკინის გზის მოსამსახურეთა დანიშვნის უფლება. ფიქრობენ, რომ არავითარი დაბრკოლება არაა მოსალოდნელი მოკავშირეთა მიერ პოზიციების გამაგრებისათვის.

ათინა. 29 ნოემბერი. სტრატეგიული მოსაზრებით გამოწვეული ინგლის-საფრანგეთის ჯარის საბერძნეთის ტერიტორიაზე გადასვლა წესიერად სწარმოებს.

ბუქარესტი. 29 ნოემბერი. სოლუნიდან იუწყებიან: ბულგარეთის და ოსმალეთის კონსულებმა თავის ხარჯით შეიარაღეს 500 კაცი კომიტაჯი მთიან ადგილში ყარაჯოვაში, რომელნიც უნდა დაეცნენ ინგლის-ფრანგების საკვებ გზას. საბერძნეთის მთავრობამ კომიტაჯის წინააღმდეგ ერთი ბატალიონი გაგზავნა. მომხდარ ბრძოლაში კომიტაჯებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ბერძნულ გაზეთებმა სოლუნში პროტესტი განაცხადეს სამხედრო ნება არ დართოს ცენზურის წინააღმდეგ, რომელმაც ბრძოლის შესახებ საზღვარ-გარედ ამბის გავრცელებისა.

სოლუნი. 29 ნოემბერი. მიუხედავად ბულგარელების მკაცრი იერიშებისა, მთელი 27 ნოემბრის განმავლობაში, ინგლის-საფრანგეთის ჯარი წყობრად გადავიდა დანიშნულ პოზიციებზე. ბრძოლა განახლდა 28 ნოემბერს, თითქმის მთელი ბრძოლის პირით. უკანასკნელ ცნობებით ბულგარელების და გერმანელების ჯარების იერიშები ან შეჩერებულია, ან მოგერიებული.

პარიზი. 29 ნოემბერი. ბალკანეთის ბრძოლის პირი. ჩვენი ჯარი განაგრძობს დახევას.

28 ნოემბერს ღამით უბრძოლველად გადავიდა სმოკვიცა-დოირანის ტბის ხაზზე. 28 ნოემბერს, დილით, ბულგარელების რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ.

ლონდონი. 29 ნოემბერი. სამხედრო სამინისტრო იუწყება: მოპირდაპირის მკაცრი იერიშის შემდეგ, რომელსაც მათი მეათე დივიზია აწარმოებდა, მაშველი ჯარის დახმარებით მოვახერხეთ ძლიერ პოზიციაზე დახევა. ეს პოზიცია დოირანის ტბის და ვარდარის ხეობის შუა მდებარეობს. ფრანგთა ჯართან კავშირი არ შეწყვეტილა. მთიან ადგილის გამო ერთ ისეთ ადგილას გვქონდა დაყენებული 8 ზარბაზანი, რომ შემდეგ მათი გამოტანა შეუძლებელი გახდა უკან დახევის დროს. ჩვენი დანაკლისი დაახლოვებით 1500 კაცს უდრის.

სკადრი. 26 ნოემბერი. (დაგვიანებულია). „პრეს ბიურო“ იუწყება, სერბიის არმიის უკან დახევა წესიერად მიდის. მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკება იყო.

ათინა. 30 ნოემბერი. [illegible] როებიდან იუწყებიან, სერბიის სამი დივიზია, რომელიც [illegible] და ელბასანს და ტირანას უდანაკლისოდ მივიდა.

ჩინეთი.

პეკინი. 30 ნოემბერი. ხალხის წარმომადგენლების განმეორებულ თხოვნას პასუხად იუანშიკაიმ ახალი უკაზი გამოაქვეყნა. იგი აცხადებს, რომ ხალხის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავა, რომელმაც იგი იმპერატორად აირჩია, მაგრამ საჭიროდ სთვლის არსებულ ადმინისტრაციულ წესის დროებით შერჩენას.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— ღამის	—11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

ქუთაისის გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა მიმართ.

ქუთაისის გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა ბიურო ამით აცხადებს მომხმარებელ კოოპერატივთა საყურადღებოთ, რომ იგი უკვე შეუდგა მოქმედებას და მოუწოდებს იმ საზოგადოებებს, რომელნიც ჩაწერილან წევრად და საჭიროდ სცნობენ საერთო ძალით მოქმედებას, დაიჩქარონ ბიუროში ჩაწერა. უკვე ჩაწერილ წევრებს ბიურო მოუწოდებს დაჩქარებით შემოიტანონ თავიანთი ხვედრი ფული. ყველა მომხმარებელ საზოგადოებებს ევალებათ დაჩქარებით წარმოუდგინონ ბიუროს დაწვრილებითი ცნობები, თუ ვის რამდენი და რა საქონელი ესაჭიროება, ყოველგვარი კითხვების შესახებ ბიურო იძლევა დაწვრილებითი პასუხს წერილობით.

ბიუროს მუდმივი ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: м. Самтреди Бюро.
ფული უნდა გამოიგზავნოს м. Самтреди, Петру Павловичу Гелейшвили.

ქ. გ. მომხ. საზ. ბიურო.

„სორაპანის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქ ა რ თ უ ლ ი

კედლის კალენდარი 1916 წ.

შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს
და ქ. ქუთაისში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—8

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან